პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-15 წელი.

№ 153 (1323) | სამშაბათი, 23 დეკემბერი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა თამაშის დამთავრებას 4 წამი აკლდა

საკავშირო პირველობა წყალბურთში

წყალბურთელთა საკავშირო პირველობის 20 დეკემბრის შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო იყო მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა თამაში. ანგარიში გახსნეს მოსკოველებმა — ბართაევმა უყურადღებოდ დატოვა კარტაშოვი, რომელმაც კარგად გამოიყენა მშვენიერაძის ზუსტი მიწოდება და ბურთი გაგზავნა თბილისის „დინამოს" კარის ბადეში — 1:0.

ამის შემდეგ შეტევაზე თბილისელები გადადიან. ჩხიკვაძის ნატყორცნი ბურთი ხვდება კარის ძელს, ხოლო ჩიქვანაიას მიერ მეტოქის კარში გაგზავნილი ბურთი მოიგერია მოსკოველთა მეკარე რიჟაკმა, მაგრამ იქვე გაჩნდა ბართაევი და ანგარიში გათანაბრდა — 1:1. შესვენებამდე მშვენიერაძემ 4-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნიდან წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. ასე დამთავრდა მატჩის პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ ანგარიში კვლავ გათანაბრდა — გვახარიამ ზუსტად გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო — 2:2. ამას მოჰყვა მშვენიერაძის მიერ გატანილი ბურთი — 3:2. ამის შემდეგ გვახარიამ ანგარიში კვლავ გაათანაბრა — 3:3. თამაშის დამთავრებამდე 4 წამი იყო დარჩენილი, როცა მშვენიერაძემ ზუსტად ტყორცნა თბილისელთა კარში და მატჩი მოიგეს მოსკოველებმა — 4:3. კვლავ დამარცხდა თბილისის „ბურევესტნიკი", ამჯერად მოსკოვის „შრომითი რეზერვებთან" — 4:5. მოსკოვის ავტოქარხნის გუნდმა მოუგო ლვოვის „დინამოს" — 3:2, კიევის სკიფმა კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდს — 3:2, ცსკმო-მ ლენინგრადის საზღვაოსნო სასწავლებელს — 6:1. მოსკოვის უნივერსიტეტისა და ლენინგრადის სკიფის შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3.

გასულ კვირას თბილისის „დინამო" შეხვდა მოსკოვის „შრომით რეზერვებს" და დაამარცხა იგი ანგარიშით 8:3. ბურთები გაიტანეს გვახარიამ (3), ბართაევმა (2), ჩიქვანაიამ (1), ჩხიკვაძემ (1), მეგედმა (1).

დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური ანგარიში ასეთია: უნივერსიტეტი (მოსკოვი)-„ბურევესტნიკი" (თბილისი) — 6:1, კკფ-„დინამო" (ლვოვი) — 4:1; ავტოქარხანა (მოსკოვი)-ლენინგრადის საზღვაოსნო სასწავლებელი — 3:2; მოსკოვის „დინამო"-ცსკმო — 1:1.

• • •

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 დეკემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" მ.	18	16	2	0	75:34	34
ცსკმო	18	14	2	2	73:33	30
„დინამო" თბ.	18	14	0	4	71:42	28
უნივერს. მ.	17	13	1	3	59:32	27
კკფ	18	9	2	7	63:46	20
ზილ მ.	18	7	4	7	53:44	18
სკიფი ლ.	18	7	3	8	57:50	17
სკიფი კ.	18	6	2	10	48:55	14
საზღ. სასწ. ლ.	17	4	2	11	34:43	10
„შრ. რეზ". მ.	18	5	6	13	57:74	10
„დინამო" ლვ.	18	2	2	14	46:72	6
„ბურ." თბ.	18	0	0	18	31:132	0

ხარკოვი, XX ჩემპიონატი

ხ ა რ კ ო ვ ი. (ჩვენი სპეც. კორ.). XX ტურში საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა ლიდერების პარტიები. ზვორიკინამ ძლიერი თამაშით დაამარცხა ფილანოვსკაია. ვოლპერტმა ვერ შეძლო იგნატიევას წინააღმდეგობის დაძლევა და ყაიმზე შეთანხმდა. გაფრინდაშვილმა უკეთესი პოზიცია მიიღო როოტარესთან, მაგრამ მე-20 სვლაზე მიიღო შემოთავაზებული ყაიმი.

საინტერესო გამოდგა ჩაიკოვსკაია-ზატულოვსკაიას პარტია. აქაურის ჩემპიონმა სიცილიურ დაცვაში პაიკის მოგების შემდეგ ძლიერი შეტევა განავითარა ზატულოვსკაიას მეფეზე და გამარჯვებას მიაღწია. ყაიმით დამთავრდა ტოგონიძე-კაკაბაძისა და ბორისენკო-ბიკოვას პარტიები. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

გადადებული პარტიების დღეს ბორისენკომ მოუგო კუშნირს, ფილანოვსკაიამ — ნისენბოიმს, რუბცოვამ — ფილანოვსკაიას. ყაიმზე შეთანხმდნენ ბიკოვა და იგნატიევა. მალინოვამ მოუგო ნისენბოიმს.

XX ტურის შემდეგ წინ არიან ქ. ზვორიკინა და ლ. ვოლპერტი — 13,5 ქულა თვითეულს, ნ. გაფრინდაშვილი — 13 ქულა, ტ. ზატულოვსკაია — 12 ქულა.

გუშინ გვიან სალამოს დამთავრდა ყველა გადადებული პარტია.

დღეს, 23 დეკემბერს გათამაშდება პირველობის დასკვნითი, XXI ტური, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან: ზვორიკინა-იაკირი, ვოლპერტი-ტოგონიძე, გაფრინდაშვილი-ბორისენკო, კუშნირი-ზატულოვსკაია, გურფინკელი-იგნატიევა, კაკაბაძე-როოტარე, ბიკოვა-ტიხომიროვა, ჩაიკოვსკაია-მალინოვა, გოიჰენბერგი-ფილანოვსკაია, რუბცოვა-სტრანდსტრემი. ისვენებს ნისენბოიმი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: (მარცხნიდან) ნ. გაფრინდაშვილი, ე. კაკაბაძე, მ. ტოგონიძე და ა. ჩაიკოვსკაია მორიგი ტურის წინ.

საკავშირო შეჯიბრება კალათბურთში

გათამაშების ცხრილი

ქალები

	თ.	მ.	წ.	ქ.
სკიფი ლენინგ.	5	4	1	4
„სერპ ი. მოლოტ" მოსკ.	3	3	0	3
ტტტ რიგა	3	3	0	3
უსკა ტარტუ	5	3	2	3
ელზ მოსკოვი	3	2	1	2
„დინამო" მოსკოვი	3	1	2	1
ლეტი ლენინგრადი	4	1	3	1
სკვო ლენინგრადი	4	1	3	1
სპი თბილისი	0	0	0	0
ოდესა	0	0	0	0
კპი კაუნასი	3	0	3	0
მაი მოსკოვი	3	0	3	0

* * *

ვაჟები

	თ.	მ.	წ.	ქ.
„დინამო" თბილისი	3	3	0	3
სკიფი კაუნასი	3	3	0	3
სკიფი კიევი	4	3	1	3
ვეფ რიგა	3	2	1	2
ლეტი ლენინგრადი	4	2	2	2
სკვო რიგა	1	1	0	1
„სპარტაკი" ლენინგრადი	2	1	1	1
სპი თბილისი	3	1	2	1
ცსკმო მოსკოვი	1	0	1	0
„დინამო" მოსკოვი	1	0	1	0
სკიფი ალმა-ატა	2	0	2	0
ტპი ტალინი	5	0	5	0

შენიშვნა: ელზ — ელექტროლამპების ქარხანა, ტტტ — ტრამვაი ტროლეიბუსების ტრესტი, ლეტი — ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი, კპი — კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ტპი — ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

* * *

მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.

ცხენოსნობა უნდა გაუთანაბრდეს სპორტის მოწინავე სახეობებს

საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის მზადება ამჟამად ყველაზე საპასუხისმგებლო საზრუნავია რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებისათვის. აქეთ არის მიმართული ახლა მთელი ჩვენი ყურადღება და ძალები. ეს საერთაშორისო ღონისძიება შეაჯამებს ჩვენს მუშაობას და დასახავს შემდგომი ზრდის ამოცანებს. ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს პირველ რიგში ყურადღება გავამახვილოთ სპორტის იმ სახეობებზე, რომლებიც სპარტაკიადის პროგრამაში შედის. უკვე გვქონდა საუბარი ჭადრაკზე, მაგიდის ჩოგბურთზე, თავისუფალ ჭიდაობაზე. ახლა გვინდა ვილაპარაკოთ ცხენოსნობაზე.

ჩვენ არ შევუდგებით სპორტის ამ სახეობის ისტორიულ მიმოხილვას. იგი ყველასათვის საკმარისად ცნობილია. ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი და სხვა ხალხური ცხენოსნური თამაშები ქართველი ხალხის სიამაყეს, მის ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს და ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ ყოველმხრივ განვავითაროთ და კიდევ უფრო სრულვყოთ ისინი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ცხენოსნობის კლასიკურ სახეობას მაინც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ეს ცხადია: ცხენოსნობის კლასიკური სახეობანი საერთაშორისო მნიშვნელობისაა და რაც მთავარია, ისინდსა და ცხენბურთში არ ტარდება საკავშირო შეჯიბრებები და არც სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადაზე ცხენოსნობაში მე-8 ადგილზე გამოვედით. ამას მაშინ თავისი მიზეზები ჰქონდა: რესპუბლიკური საცხენოსნო-სპორტული ბაზა ახალი ჩამოყალიბებული იყო, ამ უბანს საკმაო ორგანიზაცია აკლდა და სხვ. შემდეგ ბაზა უფრო მყარ ნიადაგზე დადგა და საქმეს გამოსწორება დაეტყო. სათანადო ღონისძიება გატარდა აფხაზეთში, ფოთში, ზუგდიდში, ცხაკაიაში. გამოცოცხლდა სექციებში მეცადინეობა. 1957-58 წლებში ჩატარებულ რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებსა და მოძმე რესპუბლიკების გუნდებთან სამატჩო შეხვედრებში ჩვენი ცხენოსნები საპრიზო ადგილებს იკავებდნენ. და აი დადგა საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისწინა დიდი შეჯიბრების დღე — საბჭოთა კავშირის პირველობა. ეს იყო თავისებური გენერალური რეპეტიცია. მაგრამ აქ, სამწუხაროდ, ჩავარდით. წინ გადანაცვლების მაგივრად გამოვედით მე-10 ადგილზე.

ამ სავალალო შედეგმა თავისთავად დასახა სასწრაფო ზომების მიღების საკითხი და გამოავლინა ბევრი ნაკლოვანება. პერიფერიებში სათანადო სიმაღლეზე არა დგას მხედრებისა და ცხენების გაწვრთნის საქმე, გუდაუთიდან და სოხუმიდან მონაწილე ცხენები საკავშირო პირველობაზე მეტად სუსტი შედეგებით გამოვიდნენ, გუნდში დაბალი იყო პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა. ზოგმა მხედარმა სწორედ სტარტის წინ განაცხადა უარი ტრასაზე გასულიყო. ამ და სხვა კიდევ მრავალ ხელშემშლელ პირობებს დასაბამი თბილისშივე მიეცა და მათი სათავე საცხენოსნო-სპორტულ ბაზაში უნდა ვეძებოთ. გამოირკვა, რომ ბაზის სასწავლო ჯგუფებში მეტად დაბალ დონეზეა დისციპლინა, მარტო მხედარ ოძელაშვილის მაგალითი ამაზე მეტყველებს, რომ საჭიროა სათანადო ოპერაციების ჩატარება როგორც მწვრთნელთა შორის, ისე სასწავლო ჯგუფებში.. რა საქმე აქვთ მშიშარებს, უქნარებს ცხენოსნობასთან. ეს ვაჟკაცური სპორტია და ვისაც გული საგულეს არა აქვს, მას თავი უნდა დაანებოს. საკითხს ასე კატეგორიულად იმიტომ ვაყენებთ, რომ სპარტაკიადამდე ბევრი დრო აღარ დარჩა და არ გვსურს ერთხელ დაშვებული შეცდომების გამეორება, არ გვსურს, რომ სპორტის იმ სახეობაში, რომელშიც ჩვენ კარგი შესაძლებლობა გვაქვს, ცუდათ გამოვიყურებოდეთ.

საჭიროა ნაკრები გუნდისათვის გამოსადეგი ყველა საუკეთესო ცხენის ერთად თავმოყრა. სოხუმის, გუდაუთისა და ზუგდიდის მხედრებმა კარგათ უნდა იცოდნენ, რომ „ერთად თავმოყრა" ცხენის წართმევას არ ნიშნავს და რაიონის, ქალაქის ინტერესებზე მაღლა რესპუბლიკის ინტერესები უნდა იდგეს.

თბილისის საცხენოსნო ბაზას ბევრი დეფექტი აქვს (განათება, წყალი, დახურული მანეჟი და სხვ.), მაგრამ ყოველივე ეს დროებითია. ისინი იპოდრომის მშენებლობასთანაა დაკავშირებული და უახლოეს ხანში ბევრი მათგანი გამოსწორებული იქნება. დროა მთელი ძალით ამოქმედდეს რესპუბლიკური სექცია. სწორედ მისმა უმოქმედობამ შეარყია დისციპლინა მხედრებს შორის. მართებულობა მოითხოვს გადავახალისოთ სექციის შემადგენლობა. როგორც სპორტის სხვა სახეობაში, აქაც უნდა გავამახვილოთ ყურადღება მხედართა ფიზიკურ მომზადებაზე. მხედრები ცხენთან მუშაობის გარდა უნდა მეცადინეობდნენ სპორტის სხვა სახეობებში, რაც მათ მეტად საჭირო თვისებებს შესძენს.

მწვრთნელებსა და მხედრებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ საშუალო შედეგი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, რომ მე-10 ადგილი საკავშირო პირველობაზე რესპუბლიკისათვის სამარცხვინოა და მისი გამოსწორება მათ უნდა შეძლონ ცხენების საუკეთესო მოვლით, სპორტსმენთა შორის მორალურ-ნებელობითი თვისებების ამაღლებით.

უკეთ მოვემზადოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. სიხარულიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

1958 წელი დიდ სპორტულ ღონისძიებათა წელი იყო—პროფკავშირების VI საკავშირო სპარტაკიადა, მოსწავლეთა და სტუდენტთა, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა საკავშირო სპარტაკიადები, სადაც საბჭოთა ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს მოუხდათ მონაწილეობის მიღება. ამ საერთო ფერხულს, რა თქმა უნდა, არ ჩამორჩნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც.

საქართველოს ათობით ათასმა ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. შეიქმნა მრავალი ახალი ფიზკულტურული კოლექტივი, რომელთა წყალობითაც ფიზკულტურელთა საერთო რაოდენობამ რესპუბლიკაში 416 ათასს მიაღწია. ბეჯითი და შემოქმედებითი შრომის შედეგად საქართველოს ფიზკულტურელთა არმია ითვლის 70-ზე მეტ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, 470 სპორტის ოსტატს, 3.000-მდე პირველთანრიგოსან სპორტსმენს და ა. შ.

როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეებმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადაზე და საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ეს დიდი გამარჯვება ნათლად მეტყველებს, რომ რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის რიგებში მრავლად არიან ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე სპორტსმენები და მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები. ყოველივე ეს განათლების სამინისტროს ორგანოებს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ავალდებულებს შემდგომშიც გაათკეცებული ყურადღებით მოეკიდონ მოსწავლეთა შორის სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეს.

საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მოჭადრაკეებმა — ბ. გურგენიძემ, ნ. გაფრინდაშვილმა, მ. ტოგონიძემ, ე. კაკაბაძემ, ა. ჩაიკოვსკაიამ, მძლეოსნებმა — რ. შავლაყაძემ და ლ. იევლევამ, ჩოგბურთელმა — ი. რიაზანოვამ, ტანმოვარჯიშეებმა — მ. ნინოშვილმა, ნ. მაკალათიამ, რ. კაჭახიძემ და ბევრმა სხვამ.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელთა და პედაგოგთა მომზადების საქმეში. ფიზკულტურასა და სპორტში მომუშავე სპეციალისტების რაოდენობა რესპუბლიკაში 2.500 კაცს აღემატება. მათ შორის 22 მწვრთნელს მიკუთვნებული აქვს „საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის“ მაღალი წოდება. სპეციალისტებთან ერთად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მასობრივი ფიზკულტურის საზოგადოებრივ ორგანიზატორთა მძლავრი არმია. ეს უბრალო ძალა როდია. მან მოძრაობაში მოიყვანა ფიზკულტურელთა მრავალათასიანი მასა და მათი დამოუკიდებელი შემოქმედებითი საქმიანობის უშრეტი წყარო გახდა, მან ხორცი შეასხა სპორტულ საქმიანობას, შეჯიბრებათა ორგანიზაციას, სტიმული მისცა ახალგაზრდებს სპორტული მოედნების, საცურაო აუზების, სტადიონების მშენებლობაში. დღეისათვის რესპუბლიკაში ფიზკულტურის საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა რიცხვი 11 ათასს აღემატება, ხოლო სპორტული მსაჯებისა — 8.600-ს.

ცნობილია, რომ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის საფუძველს ფიზიკური კულტურის კოლექტივი წარმოადგენს. ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ფიზკულტურული კოლექტივების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. წესრიგში მოდის სრულწლიური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის საკითხი სპორტულ სექციებში, ფართოვდება კოლექტივის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღეისათვის რესპუბლიკის ათასობით მუშა და მოსამსახურეა ჩაბმული საწარმოო ტანვარჯიშში, ფართოდ იკიდებს ფეხს მასობრივი ტურიზმი და სხვა გამაჯანსაღებელი საშუალებანი.

რესპუბლიკის მოწინავე კოლექტივების (კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხანა და სხვ.) გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მათ შეუძლიათ იქცნენ მაღალკვალიფიციური სპორტული კადრების ნამდვილ სამჭედლოდ.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებამ განაპირობა სპორტის ყველა წამყვან სახეობათა ზრდაც. ასე მაგალითად, მძლეოსნობის სექცია ამჟამად მრავალ ათას სპორტსმენს აერთიანებს, 32 ათასი ფიზკულტურელი მეცადინეობს კალათბურთის სექციებში, 73 ათასი — ფრენბურთის სექციებში. საქართველოში 43 ათასი ფეხბურთელია, 15 ათასი ტანმოვარჯიშე, 19 ათასი მოჭიდავე; 37 ათასი მოჭადრაკე, 7,5 ათასი მოცურავე, 6 ათასი ძალოსანი, 8 ათასი მოთხილამურე, 7 ათასი ველოსიპედისტი და ა. შ.

მომავალი წლის აგვისტოს მოსკოვში მოეწყობა საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადა. იგი იქნება ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გენერალური დათვალიერება და ამასთან ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის სპორტული ოსტატობის შემდგომ ამაღლებას. ქარხანა-ფაბრიკების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და სკოლების, აგრეთვე სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ფიზკულტურულ კოლექტივებში ქმედითი მუშაობაა გაშლილი ამ ღირსსახსოვარი მოვლენის შესახვედრად. აქტიურად ემზადებიან ხალხთა სპარტაკიადისათვის საქართველოს სპორტსმენები, მთელი ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მხედველობაში მიიღო პირველ სპარტაკიადაზე ჩვენი სპორტსმენების წარუმატებელი გამოსვლა მთელ რიგ სახეობებში: ვაჟთა კალათბურთში (მე-9 ადგილი), კრივში (მე-12 ადგილი), საგზატკეცილო ველორბოლაში (მე-13 ადგილი), ვაჟთა ფრენბურთში (მე-10 ადგილი), ცხენოსნობაში (მე-8 ადგილი), მძლეოსნობაში (მე-8 ადგილი), ტყვიით სროლაში (მე-10 ადგილი), ძალოსნობაში (მე-9 ადგილი) და კარგა ხანია დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

მომავალ წელს საქართველოს სპორტსმენებს კვლავ მოუხდებათ სპარტაკიადაში მონაწილეობის მიღება, რომლის პროგრამა გასულთან შედარებით საგრძნობლადაა გაზრდილი. მეორე სპარტაკიადაში მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი სპორტსმენები პირველობას ერთმანეთს შეეცილებიან: კალათბურთში (ვაჟები და ქალები), კრივში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ველოსპორტში, გზატკეცილზე და ტრეკზე (ვაჟები და ქალები), წყალბურთში, ფრენბურთში (ვაჟები და ქალები), სპორტულ ტანვარჯიშში (ვაჟები და ქალები), აკადემიურ ნიჩბოსნობაში (ვაჟები და ქალები), ბაიდარებით ნიჩბოსნობაში (ვაჟები და ქალები), კანოეში (ვაჟები), საცხენოსნო სპორტში, მძლეოსნობაში (ვაჟები და ქალები), მოტოსპორტში, ცურვაში (ვაჟები და ქალები), წყალში ხტომაში (ვაჟები და ქალები), თანამედროვე ხუთჭიდში, ტყვიით სროლასა და სასტენდო სროლაში, ჩოგბურთში (ვაჟები და ქალები), მაგიდის ჩოგბურთში (ვაჟები და ქალები), ძალოსნობაში, ფარიკაობაში (ვაჟები და ქალები), ფეხბურთში და ჭადრაკში. სულ სპორტის 24 სახეობაში. ამას გარდა, პირველად ჩვენს პრაქტიკაში, სპორტის მთელ რიგ სახეობებში მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდების გარდა მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურის კოლექტივების გუნდები. მათთვის პროგრამაში შეტანილია: საგზატკეცილო ველორბოლა, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა და ძალოსნობა. საინტერესოა ითქვას, რომ ფიზკულტურის კოლექტივებში გამოვლენ სპორტსმენები, რომლებიც აღნიშნულ კოლექტივში ირიცხებიან 1 წლის სტაჟით და ამავე დროს აქვთ პირველი თანრიგი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადას ჯერ კიდევ 1958 წელს წინ უსწრებდა ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, მოსწავლეთა და სტუდენტთა, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა, არმიელი და სოფლის სპორტსმენების სპარტაკიადები. მომავალ წელს რესპუბლიკაში მოეწყობა სარაიონო, ზონალური, საქალაქო და საოლქო სპარტაკიადები. ამ სპარტაკიადების ბოლო ეტაპი იქნება რესპუბლიკური სპარტაკიადა და შემდეგ უკვე საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობა.

რესპუბლიკური სპარტაკიადის ძირითადი თავისებურებაა მასობრიობა. აქედანვე ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ნიჭიერმა ახალგაზრდებმა შეძლონ შეჯიბრებებში მონაწილეობა. რესპუბლიკური სპარტაკიადა ჩატარდება სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისისა და ქუთაისის ნაკრები გუნდები საკავშირო სპარტაკიადის მთლიანი პროგრამით. მეორე ჯგუფისათვის, რომელშიც გამოვლენ სამხრეთ ოსეთის, ფოთის, რუსთავისა და ჭიათურის გუნდები, განსაზღვრულია 15 სახეობა, ხოლო მესამე ჯგუფისათვის (აქ ერთმანეთს შეხვდებიან სარაიონთაშორისო-ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდები) — 10 სახეობა.

გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ საკავშირო და რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის მზადებაში ფიზკულტურულ ორგანიზაციებს აქვთ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან სპარტაკიადისათვის აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, ფოთის, გორის, რუსთავის, ხაშურის, მცხეთის, თელავის, მახარაძის, აბაშისა და ზუგდიდის ფიზკულტურული ორგანიზაციები. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას მათი სუსტი გამოსვლები რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მიმდინარე წელს. მაგალითისათვის შორს წასვლა არ არის საჭირო. თბილისის გუნდმა ველოსპორტში მე-3 ადგილი დაიკავა, ხოლო საბაიდარო ნიჩბოსნობაში — მე-2. აჭარის ტანმოვარჯიშეები რესპუბლიკაში მე-5 ადგილზე არიან, თავისუფალ ჭიდაობაში — მე-6 ადგილზე. აფხაზეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მე-5 ადგილზე არიან, მოკრივეები და ნიჩბოსნები კი მეოთხეზე. ქუთაისის ველოსიპედისტთა ნაკრებმა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მე-7 ადგილი დაიკავა, წყალბურთში — მე-6, მძლეოსნობაში — მე-4 და ა. შ. ფიზკულტურული კოლექტივების შედეგები რესპუბლიკურ შეჯიბრებებში დაბალია, ამიტომ ამ უბანზე მუშაობა ძირეულ გადახალისებას და რეფორმებს მოითხოვს.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე დაიშვებიან პირველთანრიგოსანი სპორტსმენები, ზოგ შემთხვევაში კი მხოლოდ ოსტატები. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სპორტული დელეგაცია უნდა დაკომპლექტდეს 600-მდე ოსტატით და პირველთანრიგოსნით. ამოცანა მეტად რთულია და საპასუხისმგებლო და მის წარმატებით გადაჭრას შევძლებთ, თუ ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტულ საზოგადოებებსა და უწყებებში ძირფესვიანად გარდავქმნით სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას.

რესპუბლიკის ნაკრები გუნდები სისტემატურად ივსება ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენებით. მაგრამ მთელ რიგ სახეობებში კერძოდ, კი მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ძალოსნობაში, ცურვაში, ტყვიით სროლაში ჯერ კიდევ გვაკლია ოსტატები და პირველთანრიგოსნები. არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან სპარტაკიადისათვის სპორტული საზოგადოებები. ისინი ჯერ კიდევ სუსტად ზრუნავენ მაღალი თანრიგის ოსტატთა მომზადებისა და ახალგაზრდების საერთო სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ პროფკავშირების რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ნაჩვენები იქნა ოსტატის მხოლოდ 11 და პირველი თანრიგის — 34 შედეგი. რა თქმა უნდა, ბრალი ამაში ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტსაც მიუძღვის, რომელმაც წლების მანძილზე ვერ განახორციელა საჭირო ხელმძღვანელობა და საქმიანი კონტროლი სპორტულ საზოგადოებებსა და უწყებებზე. ამის ბრალია ისიც, რომ კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, სახელმწიფო მწვრთნელები ჯერ კიდევ ნაკლებად დადიან ადგილებზე, სუსტად ეხმარებიან კოლექტივებს კონკრეტულ მუშაობაში, არ იჩენენ საჭირო ოპერატიულობას.

საკავშირო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის სპორტსმენთა უკეთ მომზადების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება 1959 წლის მაის-ივნისში ჩატარდეს მეორე რესპუბლიკური სპარტაკიადა. ამ გადაწყვეტილებით პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, კომკავშირის ცენტრალურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს დაევალათ მიიღონ გადამჭრელი ზომები ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაში, დახმარება გაუწიონ ფიზკულტურის კომიტეტებს და სპორტულ საზოგადოებებს მასობრივ-სპორტულ ღონისძიებათა მაღალ დონეზე ჩატარებაში, უნდა დასრულდეს უკვე დაწყებული სპორტული ბაზების მშენებლობა. ამავე გადაწყვეტილებით წინადადება მიეცა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში გააგზავნონ მოწინავე მწვრთნელები და სპეციალისტები ფიზკულტურული ორგანიზაციებისათვის ადგილებზე დახმარების აღმოსაჩენად. პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებს — „დინამოს“, „სპარტაკს“, „შრ. რეზერვებს“, „კოლმეურნეს“, დოსააფის რესპუბლიკურ კომიტეტს და „მონკავშირს“, სისტემატური დახმარება გაუწიონ ფიზკულტურულ კოლექტივებს სპარტაკიადისათვის მზადებისა და ჩატარების საქმეში. სასწავლო დაწესებულებათა დირექტორებს წინადადება მიეცათ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში შემავალ სპორტსმენებს შეუქმნან სწავლისა და წვრთნის ნორმალური პირობები. საქართველოს კულტურის სამინისტროს — სპორტის სახეობათა მიხედვით შექმნან კინოჟურნალები, გამოუშვან ფერადი აგიტპლაკატები. ვაჭრობის სამინისტროს — სპორტული ორგანიზაციების შეუფერხებელი მომარაგება სპორტინვენტარითა და ხელსაწყოებით. რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული გაზეთების რედაქციებს, რადიო და ტელეხედვის კომიტეტს — რეგულარულად გააშუქონ სპარტაკიადისათვის მზადების მსვლელობა.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტსმენების წინაშე დგას სერიოზული ამოცანები: მიაღწიონ ახალ წარმატებებს მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მოძრაობაში, წარმატებით მოემზადონ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის. საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადამდე დარჩა 7 თვე. იმედია, რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები და სპორტსმენები ახალი წარმატებებით უპასუხებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას და ღირსეულად დაიცავენ რესპუბლიკის სახელს მომავალ სპარტაკიადაზე.

რატომ არ ჩამოდიან ირანელი მოჭიდავეები?

როგორც ცნობილია, დეკემბრის დამლევს საბჭოთა კავშირში უნდა ჩამოსულიყო ირანის ნაკრები გუნდი თავისუფალ ჭიდაობაში. ირანელები ამხანაგურ მატჩებში უნდა შეხვედროდნენ უძლიერეს საბჭოთა მოჭიდავეებს მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში.

ირანის თავისუფალი ჭიდაობის ფედერაცია დიდად დაინტერესებული იყო ამ შეხვედრებით, მაგრამ, როგორც ამ დღეებში გამოირკვა, ირანელი მოჭიდავეები ვერ ჩამოვლენ საბჭოთა კავშირში. ეტყობა, ირანის გარკვეულ წრეებს არა სურთ განავითარონ კულტურული კავშირი საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის, ამიტომაც შეუშალეს მათ ხელი ირანელ მოჭიდავეებს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლაში.

კალათბურთი

სურათზე: თბილისისა და კიევის სტუდენტ კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

მესამე მატჩი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა მესამე კალენდარული მატჩი ჩაატარა კალათბურთელთა საკავშირო შეჯიბრებაზე კიევის სკიფთან და იგი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გამოდგა.

უკრაინელმა კალათბურთელებმა ამ მატჩში გამოავლინეს შესანიშნავი საბრძოლო თვისებები. ისინი თავიანთ მეტოქეებს ჯობნიდნენ სისწრაფეში, ტაქტიკურ აზროვნებაში, ტექნიკაში და თუ მათ თამაშის პროცესში რაღაც ნაკლოვანებები მაინც ჰქონდათ, ეს ჩვენის აზრით, პირველ რიგში მწვრთნელის მიზეზია. მოთამაშეთა ხშირი ცვლა გაუმართლებელი გამოდგა „დინამოსთან" და კიდევ უფრო გაუმართლებელი იყო იგი ამ უკანასკნელ შეხვედრაში. მოედანზე მყოფი ხუთეული საკმაოდ კარგად ართმევდა თავს მწვრთნელის მიერ მიცემულ გეგმას, ხოლო შეცვლას, ახალ მოთამაშეთა შეყვანას, არევ-დარევის მეტი არაფერი შეჰქონდა გუნდში.

მასპინძლებმა თამაში აშკარად სუსტად ჩაატარეს. მართალია, მათ ჰქონდათ გამარჯვების სურვილი, მაგრამ იგი იმდენად არაორგანიზებულ, ქაოტურ ფორმებში ვლინდებოდა, რომ სარგებლობას გუნდს ვერ მოუტანდა. თამაშის პირველივე წუთიდან მსაჯის საფინალო სასტვენამდე თბილისელებმა ვერ იქნა და ვერ მოახერხეს საკუთარი ფარის დაცვა. სტუმრები როგორც წესი, ყველა მაღალ ბურთს ეუფლებოდნენ. აქ, თითქოს მოედანზე არ იყვნენ არც ლეჟავა. არც მოსეშვილი. პასიურად მოქმედებდნენ ისინი მოწინააღმდეგის ფარქვეშაც.

სუსტად ჩაატარა მთელი თამაში ლომაძემ. მას შემდეგ, რაც მან ზედიზედ ექვსი გადაცემა დაჰკარგა, მწვრთნელს იგი აუცილებლად უნდა შეეცვალა. ეს საჭირო იყო ჯერ მხოლოდ იმისათვის, რომ თვით მოთამაშეს წესრიგში მოეყვანა თავისი ნერვები, დამშვიდებულიყო. ლომაძეს არც ტყორცნა გამოუვიდა, არც გასვლები, მიუხედავად ამისა, იგი მაინც რჩებოდა მოედანზე და შესამჩნევად ბოჭავდა პარტნიორების მოქმედებას.

შეხვედრის დასაწყისშივე ინიციატივა ხელთ იგდეს სტუმრებმა. ისინი ნელა, მაგრამ მეთოდურად ზრდიდნენ ანგარიშში განსხვავებას. პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთებზე თბილისელები გააქტიურდნენ და შეძლეს ერთგვარი სიცოცხლის შეტანა თამაშში, მაგრამ მცირე ხნით. დაიწყო შეხვედრის მეორე ნახევარი და მასთან ერთად ანგარიშის განუწყვეტელი ზრდა კიეველთა სასარგებლოდ. უკრაინელი კალათბურთელები მთლიანად დაეპატრონენ მოედანს და საბოლოოდ გასტეხეს თბილისელთა წინააღმდეგობა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა განიცადა მეორე დამარცხება (59:71) მიმდინარე გათამაშებაში.

ნ. ბუბუშვილი

★

დავიბრუნოთ ქართული ფეხბურთის დიდება

განვლილ სეზონში ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა, რომლებიც „ბ" კლასში მონაწილეობდნენ, ჯგუფად დაიკავეს IV–VI ადგილები, რაც პირველ ყოვლისა მეტყველებს მათი ძალების თანაფარდობაზე.

ამ გუნდებიდან საუკეთესო იყო ქუთაისის „ლოკომოტივი"—ახალგაზრდა, მზარდი კოლექტივი. თავისი არსებობის მცირე ხნის მანძილზე „ლოკომოტივის" ფეხბურთელები შეთამაშდნენ, გუნდმა გამოავლინა თავისი სახე: კომბინაციური, კოლექტიური თამაში აგებული ძირითადად მოკლე და საშუალო გადაცემებზე. მოთამაშეთა ტექნიკური მომზადება დაუკმაყოფილებელია, ხოლო თამაშის მანერა — სწრაფი, ენერგიული და ლამაზი (ასე ითამაშეს, მაგალითად, ქუთაისელებმა თბილისის „ბურევესტნიკთან" მეორე წრეში). მაგრამ „ლოკომოტივს" აკლია შეტევის სიმწვავე მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, რაც საგრძნობლად აქვეითებს საერთო ეფექტს.

„ლოკომოტივის" დაცვა. სადაც გამოირჩევა ენერგიული ორგანიზატორი ანთიძე, ძირითადად კარგად ასრულებს თავის მოვალეობებს, მაგრამ იგი ზედმეტად ერთობა მოწინააღმდეგისათვის „თამაშგარე" მდგომარეობის ხელოვნური შექმნით, რაც ზოგჯერ შაბლონში გადადის. ეს ხერხი თავისთავად კარგი საშუალებაა, მაგრამ იგი არ უნდა გასცდეს ტაქტიკური ვარიანტის ფარგლებს და არ იქცეს სისტემად.

სეზონი კარგად ჩაატარეს ურუშაძემ, დათუნაშვილმა, ჟორდანიამ, ცხოვრებოვმა, სორდიამ და სხვებმა. მწვრთნელების (ა. ჟორდანია, ზ. ქვარიანი) დიდი დამსახურებაა ის, რომ მათ შეძლეს მოთამაშეთა შემჭიდროება ერთ მეგობრულ კოლექტივად, რომ მათ თამამად, უნარიანად შეარჩიეს და გამოიყენეს ახალგაზრდა მოთამაშეები რესპუბლიკის პირველობაზე მონაწილე გუნდებიდან.

მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ ქუთაისელთა გუნდს. იგი ძირითადად შექმნილია თბილისის „ლოკომოტივის" ბაზაზე და მოთამაშეთა უმრავლესობაც თბილისიდანაა. დასაწყისი შეიძლება ასეთი იყოს, მაგრამ მომავალში გუნდი, როგორც წესი, ადგილობრივ კადრს უნდა ეყრდნობოდეს. საამისო ძალა ქუთაისს შესწევს, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკის პირველობაზე ამ ქალაქიდან მონაწილეობს ორი გუნდი — „დინამო" და „ტორპედო". ერთი სიტყვით, „ლოკომოტივი" უნდა იქცეს ქუთაისის საფეხბურთო ორგანიზაციების მკვიდრ, სტაბილურ ძალად.

სულ ერთი წელია, რაც შეიქმნა სრულიად ახალი გუნდი — თბილისის „ბურევესტნიკი". შეიქმნა სასწრაფოდ, თითქმის სახელდახელოდ და მიუხედავად ამისა თავის ზონაში გაუსწრო გაცილებით უფრო სტაჟიან გუნდებს.

თბილისელი სტუდენტები მოქმედებენ დიდი მონდომებით, განუწყვეტელი დატვირთვით. მცველები მოწინააღმდეგეს ეთამაშებიან მჭიდროდ, არ აძლევენ თავისუფალი მოძრაობის საშუალებას, მაგრამ წინა ხაზებზე ბურთის გადაცემისას შესამჩნევია ზედმეტი სიჩქარე, უმისამართობა. გუნდს მიდრეკილება აქვს გრძელი გადაცემებით თამაშისაკენ, მაგრამ ამას ჯერ არ გააჩნია სისტემატური, კვალიფიციური ხასიათი, ჩამოყალიბებული სახე. მთელი რიგი თამაშები „ბურევესტნიკმა" ჩაატარა სტიქიურად, მხოლოდ მოთამაშეთა შრომისუნარიანობისა და ენთუზიაზმის ხარჯზე.

ის თავისებურებანი და კარგი მხარეები, რომელიც თბილისელ სტუდენტ ფეხბურთელებს აქვთ, უნდა განმტკიცდეს, ჩამოყალიბდეს ერთი მთლიანი სისტემის სახით და ჩვენ გვეყოლება კიდევ ერთი გუნდი, სადაც აღიზრდებიან და გამოიწრთობიან მაღალი კლასის ფეხბურთელები.

დამაჯერებლად, თანაბარი სიძლიერით ჩაატარა სეზონი მეკარე რუხაძემ. დაცვაში აღსანიშნავია ცენტრალური მცველი კუჭავა. მთავარ კომბინაციურ ძალას გუნდში წარმოადგენს ურთქმელიძე, რომელიც კარგად ასრულებს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციებს მინდვრის შუაგულში.

თავდამსხმელთა შორის, უდავოდ, გამოირჩევა ზეინკლიშვილი — გაბედული, ინიციატივიანი ფეხბურთელი, რომელსაც აქვს კარში მოულოდნელი და ზუსტი დარტყმა შორი მანძილიდან. კარგად დაიწყო სეზონი იაშვილმაც, მაგრამ შემდგომში რატომღაც გამოეთიშა პარტნიორებს, გაერთო ინდივიდუალური თამაშით და საგრძნობლად გაიუარესა თამაში.

მომავლისათვის თბილისის „ბურევესტნიკმა" მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს თამაშის კულტურას, გარკვეული ნახაზის შექმნას. მხოლოდ ენთუზიაზმსა და მონდომებაზე იმედის დამყარება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. ამ ძვირფას ჩვევებს განმტკიცება უნდა და გარკვეული სათამაშო დისციპლინით. გუნდმა უნდა ისწავლოს სწორედ თავისი ნაკლოვანი მხარეების სერიოზული ანალიზის საფუძველზე.

დიდი გამოცდილებისა და ტრადიციების მქონეა თბილისის სკვო. ამ გუნდს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ბევრი მნიშვნელოვანი გამარჯვება უნახავს და ამიტომ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მიუხედავად წლევანდელი წარუმატებლობისა (VI ადგილი ზონაში), იგი თავისი სიძლიერით მეორე გუნდად შეიძლება ჩაითვალოს რესპუბლიკაში.

თბილისელი არმიელები მრავალჯერ იდგნენ „ა" კლასის მიჯნასთან (1947-55-56-57 წლები), მაგრამ არ იქნა და ვერაფრით ვერ შეაღეს ეს „მოჯადოებული" კარი.

რაშია საქმე? რატომაა, რომ გუნდი სწორედ გადამწყვეტ ეტაპზე, ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში ღალატობს თავის თავს და ერთი ხელის მოსმით ჰკარგავს ხანგრძლივი შრომით მონაპოვარს. კარგავს მაშინაც კი, როცა მოწინააღმდეგეებზე ძლიერია. ფაქტია, რომ გუნდს ფეხი უცურდება სწორედ უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმისას.

ამ ტრადიციულ მარცხს აქვს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, მაგრამ მთავარი ესაა: მოთამაშეთა მორალური მერყეობა და სისუსტე პირველივე წარუმატებლობისას, სწორედ იქ, სადაც საჭიროა ძალების მობილიზაცია და მორალური სიმტკიცე, გუნდი ვერ პოულობს საკუთარ თავს, ახალგაზრდები იბნევიან, ხოლო გამოცდილები ველარ ასრულებენ ორგანიზატორთა როლს. მაგალითად, 1956 წელს გუნდმა წააგო მატჩი კუიბიშევში. ამას მოჰყვა ე. წ. „საფეხბურთო ციებ-ცხელება". გადამწყვეტი მატჩი გორკის „ტორპედოსთან" არმიელებმა საკუთარ მინდორზე დიდი ნერვიულობით, აშკარად სუსტად ჩაატარეს, პირველივე მიღებული ბურთის შემდეგ აიბნენ და ხელიდან გაუშვეს „ა" კლასში გადასვლის უაღრესად ხელსაყრელი შესაძლებლობა.

ყველას კარგად ახსოვს გასული წლის ფინალური მატჩები „ბ" კლასის ზონებს შორის. სტანისლავის „სპარტაკთან" შეხვედრაში მსაჯმა ვ. არხიპოვმა ყოვლად უსამართლო პენალტი დანიშნა თბილისელთა კარში, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გუნდი კვლავ არეულიყო და დაეკარგა მორალური სიმტკიცე. წელსაც, მიუხედავად დიდი დანაკლისისა პირად შემადგენლობაში, თბილისის არმიელებს შეეძლოთ გაცილებით უკეთ ეთამაშათ და უკეთეს ადგილზეც გასულიყვნენ, მაგრამ ვინაიდან ბრძოლა პირველი ადგილისათვის წაგებული იქნა, მოთამაშეებმა ვერ იპოვეს საკუთარ თავში ძალა მეორე ადგილისათვის საბრძოლველად.

თვით გათამაშების მსვლელობაში ტრავმის გამო გუნდს გამოაკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე. გარდა ამისა, თავის შესაძლებლობაზე გაცილებით ცუდად ითამაშა არმიელთა „მთავარმა კომბინატორმა" ნორაკიძემ. იგი ხშირად აჩერებდა ბურთს. ზედმეტად ატარებდა მას, ხოლო პარტნიორები, რომლებიც მიჩვეული არიან მისგან ზუსტი და დროული გადაცემის მიღებას, ფერხდებოდნენ. ნორაკიძეს ჯერ კიდევ შესწევს უნარი უხელმძღვანელოს გუნდს, შეაკავშიროს ნახევარდაცვა და თავდასხმა. იგივე შეიძლება ითქვას კურტანიძეზე. ამ ფეხბურთელის შესანიშნავი ტექნიკა, სამაგალითო ტაქტიკური მონაცემები ხშირად უსარგებლოდ იკარგებოდა მისი პასიურობის გამო. ამ ორ მოთამაშეს თამამად შეგვიძლია მოვთხოვოთ გაცილებით მეტი.

ვერ გაამართლა იმედები დაცვის ცენტრში გაიხარაშვილმა. უწინ იგი გაცილებით უფრო დამაჯერებლად და თანაბარი ძალით თამაშობდა, წელს კი ხშირად უშვებდა ტაქტიკური ხასიათის შეცდომებს, უანგარიშოდ ტოვებდა თავის ზონას და არეულობა შეჰქონდა მცველებში. მთელ რიგ მატჩებში კარგი თამაში აჩვენეს გრიშინმა, ჭანჭალეიშვილმა, მიროშნიკოვმა, ხელაძემ. კიდევ უფრო მეტი სარგებელი უნდა მისცეს გუნდს მიქაძემ, რომელსაც აქვს მეტად ძვირფასი მონაცემი გარემარბისათვის — სწრაფი გარღვევა ბურთით. მაგრამ მიქაძე ხშირ შემთხვევაში გაურბის ძალისმიერ ბრძოლას მცველებთან და პასიურობს.

იმედია, რომ თბილისის არმიელთა გუნდის წარუმატებლობა არ გასცდება ერთი სეზონის ფარგლებს. მომავალ წელ' გუნდმა უნდა ითამაშოს თავისი სრული სიძლიერით და კვლავ იბრძოლოს „ა" კლასში გადასვლისათვის.

ნ. ჩხატარაშვილი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
ბ. ქორქია.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 151, 152.

სიგელები დამსახურებისათვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა საქართველოში ფეხბურთის განვითარების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის სიგელებით დააჯილდოვა შემდეგი ამხანაგები: ნ. ბეროზაშვილი, მ. ბერძენიშვილი, გ. ბეროზაშვილი, ა. ბერძენიშვილი, გ. ბუილიშვილი, ა. ბურჭულაძე, ი. ბურჭულაძე, ვ. ბაჩოშვილი, შ. ვაჩაძე, შ. ვასოვსკი, გ. ვენგერი, კ. ვაშაკიძე, შ. გერაძე, ა. გალპერინი, ა. გასპარიანი, ტ. გერაძე, თ. გუგუნავა, კ. გაგნიძე, მ. გამყრელიძე, შ. გოზალოვი, კ. გოგლიძე, ა. გობრონიძე, ა. გონელი, გ. გელაშვილი, ნ. გაგნიძე, ვ. დიდიძე, გ. ჯავახაძე, შ. ჯოჯუა, მ. ჯოჯუა, ვ. ჯინორია, თ. ჯანელიძე, შ. დავითაია, ნ. ძიაპშიპა, ა. დიდიშვილი, ს. ერქომაიშვილი, დ. ელენტი, გ. ზამბახიძე, ს. იმნაძე, ი. იზიუმსკი, ვ. ქუჩულორია, შ. კიტია, თ. კუბლაშვილი, ტ. კიკნაველიძე, ვ. კილურაძე, ა. ქვარცხავა, ი. ქარუმიძე, ბ. კულვიცი, ს. კულაჩინი, კ. კოხრეიძე, ა. ყალიჩავა, ს. კეკელია, ი. კონსტანტინიდი, ს. კასპარიანი, ვ. ლომაია, ო. ლითანიშვილი, კ. ლომაძე, გ. მერკვილაძე, ს. მზარეულოვი, ს. მეავანაძე, მ. მაჩაბელი, გ. მშვიდობაძე, შ. მერკვილაძე, შ. მეავანაძე, ე. მანჯგალაძე, ა. მინჯია, მ. მეგრელიშვილი, გ. მანჯგალაძე, მ. მანდენაშვილი, მ. მეხი, გ. მენაბდე, ნ. მიმინოშვილი, რ. მირიანაშვილი, ე. ნიკოლაიშვილი, ს. ნინუა, ა. ნორაკიძე, გ. ნიკურაძე, რ. ოსაძე, გ. ოდიშარია, ვ. პეტრიაშვილი, მ. პირაევი, გ. პაიჭაძე, ა. ფოჩხუა, ა. პოლიმატიდი, გ. სიხარულიძე, ი. სარჯველაძე, შ. სიხარულიძე, ნ. სიმხიშვილი, ნ. თოდრია, ე. ტაკიძე, ს. ტაბატაძე, რ. თხილაიშვილი, ლ. უკლება, ბ. ფროლოვი, ი. ხანდამოვი, ნ. ხერხაძე, კ. ხურციძე, ი. ცომაია, მ. ცხვედაძე, გ. ჭუმბურიძე, გ. ჭელიძე, დ. ჭავჭანიძე, შ. ჭანუყვაძე, ა. ჩიქოვანი, ა. ჩოგოვაძე, მ. ჩიხლაძე, ვ. შებოლდაევი, დ. შენგელაია, გ. შხვაცაბაია, ი. შუდრა, კ. შავიშვილი, ა. შეროზნიშვილი, შ. იანქოშვილი, გ. ნაცვლიშვილი.





ამას წინათ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტულ სასახლეში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა აკრობატიკაში.

ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნივ — შერეულ წყვილთა შორის ჩემპიონები, ვ. პიხოვი და რ. სბიტოვა. მარჯვნივ — ჯგუფურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი ნ. მოისეევი, ა. ტამოუნიკოვი, პ. ანტონოვი და ს. კუზმინი ასრულებენ ვარჯიშს.

ფოტო ლ. დორენსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ვისია ბურთი № 70

რესტორანი ზღვის ფსკერზე

60 ქვეყანა თანახმაა მიიღოს მონაწილეობა ფესტივალში

VII ფესტივალი ჩატარდება ვენაში

მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ფედერაციის მორიგმა სესიამ VII მსოფლიო ფესტივალის ჩატარების ადგილად ავსტრიის დედაქალაქი ვენა აირჩია. იგი აქ გაიმართება მომავალი წლის 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე.

ვენა არის პირველი კაპიტალისტური ქალაქი, სადაც მოეწყობა ახალგაზრდობის ეს გრანდიოზული დღესასწაული. „ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ ავსტრიის მთავრობამ მხარი დაუჭირა ვენაში ფესტივალის ჩატარებას. გადავწყვიტეთ ყველა ქვეყნის ადამიანებს ჩვენც მივცეთ საშუალება ვენაში აჩვენონ თავიანთი მიღწევები“ — განაცხადა ავსტრიის ვიცე-კანცლერმა ბ. პიტერმანმა.

მაგრამ ამ ქვეყნის ახალგაზრდობის მთელი რიგი კავშირები ფესტივალის ვენაში ჩატარების წინააღმდეგ გამოდიან. ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირისა და ფედერალური წრის წევრები უარს ამბობენ ფესტივალში მონაწილეობაზე. უფრო შორს წავიდნენ სტუდენტთა ნაციონალური კავშირის ხელმძღვანელები, რომლებმაც აშკარა პროტესტი განაცხადეს მსოფლიო ახალგაზრდობის ვენაში შეკრების შესახებ.

მიუხედავად ასეთი დაბრკოლებებისა, ფესტივალის მუდმივი კომისია წარმატებით მუშაობს. უკვე გაიმართა VII ფესტივალის მოსამზადებელი საერთაშორისო კომიტეტის პირველი სხდომა, რომელმაც დაამუშავა მთელი რიგი საკითხები, შეიმუშავა პროგრამა.

მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში უკვე დაიწყო ვენის ფესტივალში მონაწილეთა კანდიდატურების შერჩევა. არგენტინაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სსრ კავშირში, კანადაში და ბევრ სხვა ქვეყანაში დაარსდა ნაციონალური, მოსამზადებელი კომიტეტები. დაიწყო ფესტივალის მსოფლიო ფონდისათვის სახსრების შეგროვება. ბევრგან გადაწყდა ეროვნული ფესტივალების ჩატარება. პირველი ასეთი ღონისძიება მოეწყობა 1959 წლის თებერვალში, როცა ერთმანეთს შეხვდებიან ეგვიპტის, სირიისა და არაბთა გაერთიანებული ქვეყნების ახალგაზრდები.

მექსიკაში გაიხსნ, მოსკოვ ს ფესტივალისა და ახალგაზრდობის მორიგი შეხვედრისადმი მიძღვნილი გამოფენა. არგენტინის სტუდენტთა ფედერაციამ VII ფესტივალის მოსამზადებელ კომიტეტს აცნობა, რომ ისინი მზად არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ღონისძიებაში.

ბამაკოში შემოდგომაზე მოეწყო შავი აფრიკის ქვეყნების ახალგაზრდობის პირველი ფესტივალი, რომელმაც მხარი დაუჭირა ახალგაზრდობის შეხვედრას ავსტრიის დედაქალაქში.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენის ცნობით უკვე 60 ქვეყნის 500-ზე მეტმა ორგანიზაციამ გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს ვენის ფესტივალში.

ამას წინათ ვენაში გამოსვლა დაიწყო საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის მუდმივი კომისიის ორგანომ „ფესტივალმა“, რომელმაც ფართო ადგილი დაუთმო ფესტივალის სპორტულ თამაშებსაც. ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ცნობილი ჩეხი სპორტსმენის ე. ზატოპეკის წერილი, სადაც ლაპარაკია სპორტზე, როგორც ახალგაზრდების დამეგობრების საუკეთესო საშუალებაზე. .... ფესტივალი შესანიშნავ საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს გამოავლინონ ახალი რეკორდსმენები, მიიღონ დიდი სპორტული გამოცდილება, ისწავლონ მოწინავეთაგან და გამოიყენონ იგი შემდეგში. ამიტომ მოვუწოდებ მსოფლიოს ყველა სპორტსმენს, ორგანიზაციას მონაწილეობა მიიღონ ვენის მსოფლიო ფესტივალის სპორტულ თამაშებში, რომელიც კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლის საქმის განმტკიცებისათვის“ — წერს ე. ზატოპეკი.

ფესტივალზე ყველას არ ექნება საშუალება მოიპოვოს ჩემპიონის წოდება ან საპრიზო ადგილი, სამაგიეროდ ყველა მონაწილეს ისევე, როგორც მოსკოვში იყო, უფლება მიეცემა ჩააბაროს ნორმატივები ფესტივალის სამკერდე ნიშნის მისაღებად.

VII ფესტივალის მოსამზადებელმა კომიტეტმა უკვე შეადგინა ფესტივალის თამაშების პროგრამა, რომელშიც შედის: მძლეოსნობა, ხელბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, კლასიკური ჭიდაობა, ველოსპორტი, ცურვა.

მოსამზადებელმა კომიტეტმა არ დაივიწყა ფესტივალზე ჩამოსული ტურისტებიც. მათთვის ვენის მახლობლად მოეწყობა კარვების ქალაქი, ხოლო ფესტივალის ერთ-ერთი დღე დაეთმობა ახალგაზრდა ტურისტების საერთაშორისო შეხვედრას. მოეწყობა აგრეთვე სემინარები ჩამოსული სპორტული დელეგაციების ხელმძღვანელებისა და მწვრთნელებისათვის, სადაც ისინი ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

პასუხი შეკითხვაზე

ჩვენი გაზეთის მკითხველმა გ. ჩხაიძემ სოხუმიდან გამოგზავნა ასეთი შინაარსის შეკითხვა: „მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩების დაწყებამდე შვეციაში, როგორც ცნობილია, ჩატარდა კონკურსი ბურთის შესარჩევად, რომლითაც უნდა ეთამაშათ მატჩები. გვაინტერესებს, რომელი ბურთით თამაშობდნენ მატჩებს ფინალში?“.

მართლაც, ფინალური ტურნირის წინ მოეწყო სპეციალური დახურული კონკურსი, სადაც სხვადასხვა სახელმწიფოთა ფირმების მიერ წარმოდგენილ იქნა 102 ბურთი. რამდენიმე ტურის შემდეგ ექსპერტებმა საუკეთესოდ მიიჩნიეს ბურთი № 70 და ჩემპიონატის ყველა მატჩი ჩატარდა ზუსტად ერთნაირი ბურთებით.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ბურთი № 70 ყოფილა შვეციის ერთ-ერთი ფირმის ნაწარმი. სწორედ ეს ბურთი მოიტაცა ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ ბრაზილიელთა გუნდის მასაჟისტმა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: კონკურსზე წარდგენილი ბურთების არჩევა.

სურათი ამოღებულია უნგრული სპორტული ჟურნალიდან.

სკოგლუნდი ბრუნდება შვეციაში

გამოჩენილი შვედი ფეხბურთელი, მსოფლიოს ნაკრების მარცხენა გარემარბი ლ. სკოგლუნდი ამ რამდენიმე წლის წინათ დაწინაურდა შვეციის ჩემპიონატში. იტალიის „ნავთის მეფედ“ წოდებულმა მილიონერმა მერანიმ, რომელიც მილანის „ინტერნაციონალეს“ მფარველობს, სკოგლუნდი გადაიბირა შვედ თავდამსხმელ ლინდსკოგთან ერთად.

სკოგლუნდის ვირტუოზული ტექნიკა მწვრთნელების საერთო აღტაცებას იწვევს, გარდა... თვით მისი მწვრთნელისა. რამდენიმე ხნის წინათ შვეციის ნაკრების მწვრთნელმა რაინორმა საყურადღებო შენიშვნები გამოაქვეყნა მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ. მან მკაცრად გააკრიტიკა იმ ტიპის ფეხბურთელები, რომელთათვისაც არ არსებობს კარი. ისინი,—განაგრძობს რაინორი,—თუმცა მაყურებელთა „კერპები“ არიან და მათ მუდმივ აღტაცებას იწვევენ, მაგრამ არავითარ ფასს არ წარმოადგენენ კოლექტივისათვის, სკოგლუნდის მსგავსი ფეხბურთელი მოხდენილად მოატყუებს რამდენიმე მცველს და მაყურებელთა ოვაციის გამოწვევის მიზნით, კიდევ ცდილობს იგივე მცველისთვის „ტრიუკის“ გაკეთებას, ამასობაში კი მას აუცილებლად ბურთს ართმევენ. მაგრამ რაინორს არ ეთანხმებიან სხვა სპეციალისტები, რომლებიც სკოგლუნდის თამაშს მეტად მაღალ შეფასებას აძლევენ.

სულ ახლახან სკოგლუნდმა მეტად სერიოზული ტრავმა მიიღო და ხანგრძლივი დროით გამოვიდა მწყობრიდან. ახლა იგი უკვე აღარ ჭირდება „ნავთის მეფეს“ და „ინტერნაციონალეს“ მეპატრონეს. რისი მაქნისია მისი სახელი, როდესაც იგი კვლავინდებურად ველარ შეძლებს ტრიბუნების მოხიბლვას?! ამიტომ სკოგლუნდი შვეციაში ბრუნდება, როგორც ხეიბარი.

მზრუნველი კომერსანტები

კენიაში ამას წინათ გაიხსნა რამდენიმე კომფორტაბელური სასტუმრო, მაგრამ არა მიწაზე, არამედ... ხეებზე. დიახ, ხეების წვეროებზე გაშენდა ოტელები, რომლებიც არ ჰგვანან ტარზანის პრიმიტიულ საცხოვრებელს. სასტუმროში მოწყობილია სააბაზანე, არის ელექტროდენი და მომსახურე პერსონალი, აივნიდან იშლება გაუვალი ტყეების სიმშვენიერე. იქვე დასეირნობენ ჟირაფები და ბეჰემოტები. ღამე ტურისტის განკარგულებაშია პროჟექტორი, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია დაინახოს მობანავე სპილო, მოსეირნე ლომი, მაგრამ ტურისტები მაინც უკმაყოფილო არიან და კიდევ უფრო შორს მირბიან „მზრუნველი“ კომერსანტებისაგან, რომლებიც მათ სამკეც ტყავს აძრობენ ზემოთ ჩამოთვლილ სანახაობისათვის.

საით გაიქცნენ ტურისტები? წყალქვეშ? მაგრამ აქაც მიაწვდინეს თავიანთი ხელი კომერსანტებმა. მაგალითად, კუნძულ ისკის მახლობლად გაიხსნა წყალქვეშა რესტორანი. აქ საუზმის დროს შეიძლება გაეცნო (რასაკვირველია შუშის ქვეშ) ზღვის მცენარეებს, ან თვალი მოჰკრა ზვიგენის შურიან სახეს.

რედაქტორი ი. უგულავა.

25 დეკემბერი



თბილისი, სახელმწიფო ცირკი.

ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის

დასაწყისი 20 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3 89 62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უფ 08206